ზემო სვანეთის (მესტია-უშგულის ზონა) ტურისტულ-რეკრეაციული ტევადობის ფიზიკურ-გეოგრაფიული შეფასება

მაია ჯაფარიძე

ელ-ფოსტა: maia.japaridze606@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ბუნებრივი რესურსები წარმოადგენენ საბაზო რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლება საზოგადოების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონის არსებობის პირობებში. ბუნებრივი რესურსების კლასიფიკაცია შეიცავს მიწის, ნიადაგის, კლიმატურ, მინერალურ, წყლის, ტყის, რეკრეაციულ ჯგუფებს. ბუნებრივი რესურსები აღდგენისა და ხარჯვის შესაძლებლობის მიხედვით იყოფა სამ ჯგუფად: მინერალური ნედლეულის ამოწურვადი არაგანახლებადი ნედლეული, ამოწურვადი განახლებადი ბიოლოგიური რესურსები და ამოუწურავი. რესურსების სამეურნეო კლასიფიკაციის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას წარმოადგენს მათი ერთმიზნობრივად და მრავალმიზნობრივად გამოყენება. იმისათვის, რომ გაიზარდოს რესურსული ბაზის გამოყენების ეფექტიანობა, აუცილებელია არსებული ბუნებრივი რესურსების მარაგების ობიექტური შეფასება, მათი მზოგავი და რაციონალური ხარჯვა, ნაკლებად მოთხოვნადი და დაბალეფექტიანი გამოყენების რესურსების გამოვლენა, ალტერნატიულ წყაროებზე გადასვლა. საქართველო ფლობს მნიშვნელოვან ტურისტულ პოტენციალს. ამ მხრივ კი, ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონია ზემო სვანეთი და ეს ნათლად ჩანს ამ ციტატიდანაც: ბრიტანული გაზეთი Guardian-ი მკითხველს საქართველოში მოგზაურობას ურჩევს და საქართველოს მთიან რეგიონზე საუბრისას, სტატიის ავტორი სვანეთს ზღაპარს ადარებს: „სვანეთი, ყველაზე იდუმალებით მოცული მთის რეგიონი საქართველოში, აქ ზღაპრები რეალურ ცხოვრებაში გადადის. სვანეთი ცნობილია ქვით ნაშენი სახლებით და კოშკებით,რომელსაც თავდაცვის ფუნქცია ჰქონდა. ამ რეგიონში თავისუფლების საოცრად მოყვარული ხალხი, სვანები ცხოვრობენ. აქ ტურისტული მარშრუტები თითქმის გაუკვალავია. სვანეთში მოგზაურობენ ველური და ნამდვილი ბუნების მოყვარულები. რა თქმა უნდა ეს ტური მხოლოდ სვანეთით არ შემოიფარგლება. ზოგადად საქართველო სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩვენი ერთ-ერთი ფავორიტია. საქართველო ცნობილია: კერძებით, ღვინით, მთებით, ეკლესიებით, სტუმართმოყვარეობით, მდიდარი ისტორიით. ამ ყველაფრით საქართველო მოგზაურობისათვის საუკეთესოა. უმჯობესია თქვენ თვითონ ეწვიოთ და დარწმუნდეთ.“ სწორედ ამ რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციული ლანდშაფტების ფიზიკურ-გეოგრაფიული ანალიზისადმია მიძღვნილი წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის 4 ძირითადი თავი: პირველი - ტურისტულ-რეკრეაციული გეოსისტემები - ანთროპოგენური ლანდშაფტის ერთ-ერთი კულტურული მოდიფიკაცია (მოკლე ისტორიული მიმოხილვა) ; მეორე - ზემო სვანეთის (მესტია-უშგულის ზონა) ტურისტულ-რეკრეაციული დესტინაციების ტევადობის განმსაზღვრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორები; მესამე - ზემო სვანეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების სივრცითი განაწილების კანონზომიერებები; მეოთხე - ზემო სვანეთის მდგრადი ტურიზმის განვითარების პერსპექტივები და ლანდშაფტების ოპტიმიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ტერიტორიების განვითარების ისტორიული წინაპირობები, მათი ინდუსტრიული განვითარების დონე, ტურიზმის განვითარების პოტენციალი და რეგიონების ტურისტული სპეციალიზაცია განსხვავებულია, საერთო ჯამში, ტურისტული მეურნეობა ხელს უწყობს ტურისტულ-რეკრეაციული კომპლექსის არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაზრდას, მომსახურების სფეროში სამუშაო ადგილების შექმნას და სახელმწიფო და ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას.